საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩერვ[illegible]
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 548 პარასკევი, აგვისტოს 17 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 100,000

ღრმათ დამწუხრებულნი: ქალიშვილი ბარბალე დავით ბებუთაშვილის ასული გაბუნიასი და სიძე არტემ გიორგის ძე გაბუნია აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 19 აგვისტოს დილის 11 საათზე ძვირფას, საყვარელ და დაუვიწყარ

**დავით იოსების ძე ბებუთაშვილის**

გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავათ ხოდჟევანის სასაფლაოს ბებუთიანთ ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

---

საქ. მემარცხენე სოც.-ფედ.-თა სარევ. პარტიის

**ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი**

იწვევს ქალაქ ზუგდიდში კვირას, ამა წლის სექტემბრის 9-ს პარტიულ

**სამაზრო კონფერენციას**

დღის წესრიგი:

1) საქართველოს და საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის ანგარიში.
3) მოხსენებანი ადგილებიდან.
4) მიმდინარე საკითხები.
5) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის.

ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს. მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან 20 წევრზე თითო დელეგატს. დელეგატს ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

---

საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის

**შორაპნის სამაზრო კომიტ. დადგენილებით**

კვირას, აგვისტოს 26 ქ. შორაპანში მოწვეულია ს.-მემ. სოც.-ფედ. პარტიის

**შორაპნის სამაზრო კონფერენცია**

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
2. პარტიული მუშაობა.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა თავისი მოქმედების შესახებ.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის.

მცირერიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან კონფერენციაზედ თითო დელეგატს, მრავალრიცხოვანები კი ყოველ 25 წევრზედ თითო დელეგატს. ახალგაზრდათა და ქალთა კომიტეტებს შეუძლიათ გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით. დელეგატებს ირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ შორაპნის მუშათა კლუბის დარბაზში.

შორაპნის სამაზრკომი.

---

**მბეჭდავთა კლუბში**

რუსთაველის პროს. № 39 (ეზოში)

**კვირას 19 აგვისტოს**

მბეჭდავთა კავშირთან არსებულ დრამატიული წრის —ქართული სექციის სცენის მოყვარე მუშების მიერ წარმოდგენილი იქნება საქველმოქმედო მიზნით

გ. სუნდუკიანცის პიესა

**პეპო**

კომედია 3 მოქმედებათ.

დასაწყისი სალამოს 8 ნახ. საათზე.

მომწყობი კომისია.

---

**განცხადება**

**1 სექტემბრიდან ტფილისში გამოვა**

ყოველკვირეული სამეცნიერო-სალიტერატურო-საინფორმაციო გაზეთი

**„მწვერვალი“.**

მიიღება ამ თავითვე ხელის მოწერა.

ეს გაზეთია გაგრძელება ბათომის „მწვერვალისა“ და ყველა მასალები, განცხადებანი და სხ; რომელიც გადაცემული ჰქონდა გაზეთ „მწვერვალს“ ბათომში,—მოთავსებულნი იქნებიან მორაგ № 9.—

სარედაქციო კოლეგია.

3—1.

---

## „რაშია ხსნა?“

მკითხველებმა იციან, რომ ბერლინში ლინდერშტრასსეზე განსვენებულმა ლევ მარტოვმა რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიას დაუარსა ცნობილი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“. „მემარცხენე“ მარტოვიდან დაწყებული ეს გაზეთი გადაიქცა გესსენის ტიპის, კადეტის, გამბურგის კონგრესზე სახელ მოხვეჭილ აბრამოვიჩის გაზეთად.

ეს გაზეთ—ჟურნალი მესამე წელიწადია რაც არსებობს, სულ ქვეყნის სახსნელ კითხვებს გვირქვევს და პირველ ივლისის გაზეთშიაც ამ მოწინავის სათაურით არის გაჭიმული სარედაქციო წერილი.

„რაშია ხსნა?“—მუდამ ძველი და ამავე დროს მუდამ ახალი საკითხია. რუსეთის სოციალდემოკრატიის ლეიბორგანო ეხება რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას და გვიხატავს იმ უფსკრულს, რომელშიაც მოემწყვდევა მთელი რუსეთი თუ მენშევიკების პროექტი არ იქმნა მიღებული.

რაში მდგომარეობს ეს პროექტი, რა გადაგვარჩენს სიღარიბეს, სიმშილს, მარცხს, რანიც თურმე ღრღნიან ამ ჟამად საბჭოთა რუსეთს?

ვიდრე ამ კითხვაზე მკითხველი გაიგებდეს „სოციალისტურ უწყების“ პასუხს, ჩვენ არ შეგვიძლიან ზოგიერთი რამ არ მოვიგონოთ ხსენებულ პარტიის წარსულსა და აწმყოდან.

ყველას მოეხსენება, რომ გერმანია სოციოლოგების, ეკონომისტების, ფილოსოფოსების და პოლიტიკოსების ქვეყანაა. ვინ არ გახსნის უმეცრებით დანაოჭებულ შუბლს გერმანიის მეცნიერებით? ვინ იცის რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ ეგების ბრძოლის და თეორიის ახალი მეთოდები შეითვისა გერმანულ სოციალ-დემოკრატიის მიხედვით. მაგრამ საოცარია, რომ „სოციალისტურ უწყებას“ მხოლოდ ის ერთი უებარი წამალი შერჩენია, რომლითაც სულდგმულობდნენ ისინი, 1917 წელში. მაშინაც და ეხლა მენშევიკები მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიაზე ლაპარაკობენ, სამართალზე, სათნოებაზე, მასსობრივ მუშაობაზე და სხვა.

ჩვენ გვინდა ვიკითხოთ: თუ დემოკრატიზმი და პარლამენტარიზმი დღეს და მუდამ დაიხსნის რუსეთს გაჭირვებიდან რად არ ააყვავა ამ სისტემამ კერენსკი-წერეთლის რუსეთი? თუ ეს სისტემა ადუღებს ხალხს და სახელმწიფოს, რარიგად მოხდა ამ შედუღებულ ორგანიზმის „ბურბუშელა“ კომუნისტების მიერ დამსხვრევა? და კიდევ მეორე კითხვა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა რაღად ინგრევა? რისთვის მოითხოვს გერმანიის ხალხი მუშურ-გლეხურ მთავრობას?

მენშევიკების პროექტი—საბჭოთა წყობილების გაუქმებაა. ეს არის მთავარი. მაგრამ ყოველი წვრილმანი დებულება, არგუმენტაცია, მოვლენის კვალიფიკაცია, ხშირად ტერმინოლოგია „სოციალისტურ უწყებას“ ისეთივე აქვს, როგორც მილიუკოვის „პოსლედნიე ნოვოსტი“-ს, ან „დნი“-ს, ან „რულს„ ან „რუსს“ და „ნოვოე ვრემიას“.

საბჭოთა წყობილების სიძულვილი, ყველაფრად ცუდად წარმოდგენა, რუსეთის დამცირება—აი რა არის გაწოლილი წითელი ზოლით, როგორც ესერების „დნო“-ში, ისე სუვორინის ან ნაბაკოვის გაზეთში. კერზონმა რუსეთი დაამსხვრია, რუსეთი სამარცხვინო და სასაცილო აპერაციებს აწარმოებს აღმოსავლეთში, რუსეთი გაკოტრდა გენუაში, ლოზანაში, ყველგან—აი რას გვაჩვენებს ჩვენ აბრამოვიჩი. ერთი რამ არის საკვირველი: თუ კი მართლა ამ გზით კომუნისტები დაიღუპებიან, რაც ძალიანა სურთ მენშევიკებს—რაღას უწუნებთ დამღუპველ გზას, განა კომუნისტების დაღუპვა თქვენ არა გსურთ? თუ აღმოსავლეთის პოლიტიკა მასხრობა და უმნიშვნელოა—რაღა აბრაზებს ეს არარაობა კერზონს, ან რაღად აქცევს აბრამოვიჩი ყურადღებას?

რას ნიშნავს დღეს რუსეთში ლიბერალურ-დემოკრატიულ რეჟიმის შემოღება? ეს ნიშნავს სუვორინის გაზეთის ბელგრადიდან მოსკოვში გადმოტანას, პარიზიდან პავლე მილიუკოვის შხამის პეტერბურგში დათესვას და საერთოდ იმ შინაური ლათაიების გაღრმავებას, რასაც ეკონომიკაში მოსდევს უცხო კაპიტალისათვის კარების გაღება სუსტი ეროვნული კაპიტალის ჩასაყლაპად. მოკლედ— ეს ნიშნავს მშვიდობიანად ფაშიზმის და „კამლო დიუ რუას“ აგენტების გამარჯვებას, რევოლიუციის ლიკვიდაციას.

„სოციალისტური უწყება“ სრულიად გამოთხოვებია საერთაშორისო რევოლიუციის იდეას. რუსეთის თავის ნაჭუჭში მოქცევა—აი მთავარი აზრი უცხოეთში გადახვეწილ რუსეთის მენშევიკებისა. ეს აზრი არსებითად „ნოვოე ვრემია“-ს აზრია, შულიგინის ფილოსოფიაა, მარკოვ მეორის რეაქციაა. საბრალო მენშევიკები! მათ ისიც დავიწყებიათ, რომ საკუთარის ხელით რევოლიუციაზე ხელის აღებას მყისვე მოყვება გარეშე ძალით ამ პროცესის დაჩქარება, რაიცა ჩვენ მიგვიყვანს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძმდე. აქეთკენ კი მენშევიკები მაშინ მოგვიწოდებენ, როცა ევროპის ბუმბერაზი—გერმანია სოციალისტურ რევოლიუციის წინაშე სდგას.

---

## პრესა

**მივიწყებული მგოსანი.**

ამ სათაურით გაზ. „ამიერ კავკ. რკინის გზელში“ მოთავსებულია „ვინმეს“ წერილი, რომელიც მოგვყავს სავსებით.

„იოსებ დავითაშვილი,—ეს მუშებისა და გლეხების ჭეშმარიტი მგოსანი, არა მარტო თავის დრომ ვერ გაიგო და დააფასა, არამედ დღესაც ცოტა ყურადღება ექცევა მისი სახელის გახსენებას.

მისი მშვენიერი და პოეზიით გამარილებული ლექსები თუმცა ხალხში ერთობ გავრცელებულია და ხალხს ძალიანაც უყვარს, მაგრამ ხელმეორეთ გამოუცემლობის გამო (პირველათ 30 წლის წინათ გამოიცა) დიოგენის ფანრითაა საძებარი.

ჩვენ გვაკვირვებს, როდესაც სხვადასხვა მგოსანთა თხზულებებს სცემენ, რისთვის ავიწყდებათ:

„იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა
ვინც გთესა, მოგიყვანაო“-ს ავტორი?

განა კიდევ უფრო სიამოვნებით არ წაიკითხავს ქარხნებსა და ფაბრიკებში დაზგებზე მომუშავე ასეთ სტრიქონებს:

„მუშა ვარ და მისთვის ვიცი,
მუშის გულის პასუხები,
ღმერთმა მუშებს გაუმარჯოს,
მუქთ-მყლაპველებს არ ვეხები“!

და ან კიდევ:

„დავითაშვილმა მოგიძღვნათ
ლექსები გამოცანაო,
ხელოსანია ღარიბი
მუშაკი თქვენისთანაო“.

უკვე გამარჯვებულ მუშებს და გლეხებს იოსებ დავითაშვილის მშვენიერი ძღვენი—საჩუქარი არ უნდა დაეკარგოს.

სახელმწიფო გამომცემლობას მართებს ამ მხრივ ღონისძიების მიღება, შემდეგ უნდა ვიზრუნოთ მისთვის ძეგლის აგებაზედაც.

ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ იოსებ დავითაშვილის და, დღესაც ცოცხალია, თბილისში ცხოვრობს და მასთან ინახება იოსებ დავითაშვილის მრავალი ნივთი და მისი ხელობის ნაყოფი — იშვიათი ჩუქურთმებიანი შკაფი“.

---

## საკულტურო ფრონტზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაცია თავისი შედგენილობით მეტის მეტად ფერადია. არა ჰგავს მაგალითად გერმანიის ფედერაციას, რომლისაც შემავალ ნაწილებს აკავშირებს ენის და კულტურის ერთობის ინტერესიც. ამის გამო ჩვენი ფედერაციის ყოველ ერს საკუთარი ინტერესი გასჩენია ეროვნული კულტურის განსავითარებლად, რადგანაც არც ერთ მათგანს არა ჰსურს, ხელი აიღოს თავის ეროვნულ ინდივიდუალობაზე, მის განვითარებაზე. ეროვნულ კულტური განვითარება მშრომელი ხალხისა, როგორც ფედერაციის ცენტრის, ისევე შემავალი რესპუბლიკების მუშურ გლეხურ მთავრობას პირველი რიგის საქმედ დაუსახავს. მუშათა და გლეხთა ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცხოვრების საჭიროებისათვის ბევრი იწერებოდა, საქმით კი ცოტა კეთდებოდა, მაგრამ სახელმწიფო აპარატის ძირითადი გაეროვნულება მოჰყვა რუსეთის კომპარტიის მეთორმეტე ყრილობის დადგენილებას, რომელმაც თუ არ ამ ღონის ძიებით, სხვანაირად შეუძლებლად დაჰსახა სოციალისტური კულტურის დამყარება და მისი განვითარება.

ფედერაციის უდიდესმა ნაწილმა, რუსეთმა, სასწრაფოდ მოჰკიდა ხელი, სხვათა შორის, სოციალისტური კულტურის საქმის აღორძინებას არა მარტო განმანათლებელი დაწესებულებანის გარდაქმნით, არამედ მათთვის საჭირო წიგნების დასაბეჭდად სახელმწიფო გამომცემლობის შემოღებითაც.

ამ დაწესებულებამ რუსული წიგნით მორწყო არა თუ რუსეთი, არამედ ფედერაციის სხვა შემავალი რესპუბლიკებიც, რომელთაც, როგორც მოგახსენეთ, თავიანთი მუშაგლეხობისთვის საკუთარი სოციალისტური კულტურის საქმეები აქვთ საკეთებელი. ცნობა არ მოგვეპოება იმისი, თუ ბელორუსიის, უკრაინის, აზერბეიჯანის და სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ რამდენად განავითარა ეროვნული კულტურა წიგნების გამოცემით, მაგრამ კურთხეულ საქართველოში ქართული წიგნის გამოცემის, ქართული სკოლის ქართული წიგნით უზრუნველყოფის საქმე, რომ კუს ნაბიჯით მიდის წინ, იმდენად ნათელია, მტკიცება არც კი სჭირია.

ჩვენმა ხალხმა, როგორც ძველი კულტურის მატარებელმა, აღადგინა თუ არა საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, რუსთ ხელმწიფობის მიერ ხელოვნურად ჩაქრობილი ლამპარი ქართული განათლებისა მაშინვე აანთო საშუალო და მაღალი სკოლის დაარსებით და მოუყარა თავი მათ გასაძღოლად კულტურულ ძალებს, რაიც საკმაოდ მრავალი აღმოაჩნდა, ასე რომ სახელმწიფო ცხოვრების სხვა დარგთა გაეროვნულებასაც გასწვდა.

მშობლიური კულტურის სიყვარულმა ქართველი მასწავლებლობა სამშობლოში გადმოიყვანა ძველი რუსეთის იმპერიის ცენტრებით, შიდა, თუ განაპირა გუბერნიებითგან, სადაც უფროს ერთი მათგანი თავის სურვილის წინააღმდეგ იძულებულ იყო

დარჩენილიყო, რათგანაც იმპერიალისტურ რუსიფიკატორული პოლიტიკა მოითხოვდა, მაგრამ დღეს ქართული სკოლისთვის მისი მოღვაწეობის მეცნიერული შემოქმედება ნაკლებად იზიდავს სახელმწიფო გამომცემლობის ყურადღებას, მაშინ როცა სასწავლო წიგნები ისე საჭიროა ქართული დაბალი, საშუალო და მაღალი სკოლისთვის. სახელმწიფო გამომცემლობამ ანკეტი უნდა მოახდინოს ყოველი ქართველი პედაგოგის გამოკითხვით, რომ დარწმუნდეს თუ, რამდენი სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნი აქვთ დასაბეჭდად დამზადებული, მაგრამ თავიანთ ნაშრომს მძიმედ ინახვენ ყველა ხარისხის მწერალ მასწავლებელნი, რათგანაც კერძო ქართველი გამომცემელი ულონოა, სახელმწიფო გამომცემლობა კი ქართული წიგნის ბეჭდვის და გავრცელების საქმეს ისეთი ინტენსიობით ვერ აკეთებს, როგორც რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობა, რომელმაც რუსული წიგნის ბაზარი ისე გააძლიერა საქართველოს დედაქალაქშიაც, რომ რუსული წიგნი ძალზე სჭარბობს ზოგჯერ იმ ქართული წიგნის მაღაზიებშიაც კი, რომელიც ქართველებს ეკუთვნის.

თუ საქართველოს დედაქალაქში ასეთია ქართული წიგნის მდგომარეობა, რაღა იქმნება მის პროვინციებში, მეტადრე მის ავტონომიურ ოლქებში.

ასეთი გარემოება საქართველოს რესპუბლიკის ხელმოკლეობით არ აიხსნება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება აუარებელ ფულს ჰხარჯავს ხელოვნებისთვის და როგორ დავიჯერო, ღონე ვერ იღონოს და სოციალისტურ საქართველოში ვერ ააყვაოს ქართული ლიტერატურა და მეცნიერება, რომლისაც გარეშე ქართული პროლეტარული კულტურის განვითარება ვერავითარ კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებს, ქართველი პროლეტარიატი კი სულიერად დამახინჯდება. ქართველი ხელოვანი და მსწავლულ მეცნიერი შვილია ქართველი მშრომელი ხალხისა და უნდა ჩავაყენოთ ისეთ გარემოებაში, რომ სამშობლოშივე დაჰრჩეს მშობელი ხალხის გასანათლებლად და არ წავიდეს რუსეთს, სადაც არა ნაკლები პატივისცემით მიიღებენ. მაღალი სკოლის ზოგიერთი მასწავლებელი პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა, რომ თავისი ნაშრომი ვერ დაუბეჭდია და ქართული მაღალი სკოლისთვის ვერ მიუწვდია საჭირო ქართული სახელმძღვანელო.

სახელმწიფო გამომცემლობა ჩინეთში, როგორც ამბობენ, წარმოადგენს სახალხო განათლების უწყების უდიდეს დეპარტამენტს, სადაც სახელმწიფო მწერალ მთარგმნელი ათასობით გართულია ევროპელ მწერალ მეცნიერთა თხზულების თარგმნაში. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას უფრო მეტი ინტენსიობის გამოჩენა ჰმართებს.

საპროპაგანდო, ძველი და ახალი კლასიკური სამეცნიერო და სახელოვნო ლიტერატურა დაუყოვნებლივ გამოსაცემია, როგორც ორიგინალი, ისევე თარგმნილი. ქართულ სკოლას უნდა ასაზრდოებდეს ქართული წიგნი. ყოველი ხელოვნების და მეცნიერების წიგნი მოსწავლე ახალთაობას ქართული უნდა მოეპოებოდეს. უცხო წიგნის წაკითხვით და ეკზამენის ქართულად ჩაბარებით ქართული კულტურა განვითარდება კი არა, უფრო დაეცემა. მხოლოდ ქართული ხელოვნება და ქართული მეცნიერება ჰქმნის ქართულ ეროვნულ კულტურას, უკანასკნელი კი არის ფუძე, რაზედაც, როგორც კეთილ ნიადაგზე, ამოცენდება და აღორძინდება ქართული პროლეტარული კულტურაც. სოციალიზმის უდიდესი დანიშნულება არის მწარმოებელი და მიწის მუშის განათლება; ქვეყნის ერთად-ერთი მოჭირნახულე იყო, არის და კვლავც დაჰრჩება მშრომელი ხალხი, მაგრამ ძველად იგი იდგა გარეშე სწავლა განათლებისა, რომელიც ფეოდალობას და სამღვდელოებას გადაექციათ პრივილეგიად მხოლოდ თავისთვის. მონა, როგორც ბატონის მამულში მცხოვრები, მოვალე იყო, ბატონი ესაზრდოებინა თავისი ნაოფლარით, ნაჭირნახულევით ისევე, როგორც იგივე მონა არჩენდა სამღვდელოებას, როცა საეკლესიო სამონასტრო მამულში სცხოვრობდა. არა ბატონის, არა მღვდლის ნაკეთებს, არამედ გლეხის ნახნავი მიწის მოსავალს დაჰრქმევია მას აქეთ ჭირნახული, როგორც ჭირ და შრომა გამოვლილსა.

დაუყოვნებლივ უნდა გავაჩაღოთ, საკულტურო ფრონტი, რასაც ბრძანებლობით მოითხოვს ინტერესი ქართველი მშრომელი ხალხისა, თორემ ჩვენი დანაშაულებრივი წინდაუხედაობით დაგველუპება, რაც გაგვიკეთებია განახლებული საქართველოსთვის, დაგველუპება ოცდაათი საუკუნის ჭაღარა მოსილი კულტურა, რომელიც შეუქმნია ხალხის მოამაგე ჩვენს მსწავლულ წინაპრებს თავისი მნიშვნელობით იმდენად ღირსი, რომ შესასწავლი გამხდარა განათლებული უცხოელების მიერ, ხოლო თავისი ცხოველმყოფლობით ჩვენი ხალხის გენიის მასულდგმულებელი.

ძველი რეჟიმის დროს რუსული დიდმპყრობლური მისწრაფებით გაჟღენთილი ერთი ჩემი კოლეგა მეტყოდა ხოლმე, თქვენი ხალხი მცირე რიცხოვანია, ვერაფერს გაჰხდებით, უმჯობესია ხელი აიღოთ საკუთარი კულტურისთვის ზრუნვაზე და ეზიარნეთ რუსულ კულტურასაო აი როგორ ესმოდა ძველ რუსის პედაგოგს თავისი მოწოდება საქართველოში, მაგრამ რევოლიუციამ ისიც გადაჰყვა თან, რათგანაც ვარდთან იის არსებობის ჰარმონიის ცნობა არ ჰნებავდა. ეს მესამე წერილია, რომელიც მიძღვნია ამავე საკითხისთვის და ჩემი ხმა ნუ თუ ეხლაც დაჰრჩეს უდაბნოში მღაღადებლისად?

ნონ სოლუმ პანემ ეტ ცირცენზეს,*) არამედ ქართული წიგნიც!

პეტრე მირიანიშვილი

*) არა მარტო პური და სანახაობა.

## ახალი ამბები

— **შაქარი ტფილისისათვის.** ბაქოდან მოსულია 8000 ფუთი შაქარი, რომელიც განაწილებული იქნება მუშათა მთლიან კოოპერატივებზე.

— **საჩუქარი წითელ კავალერს ამხ. ალ. გეგეჭკორს.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა წითელ კავალრების დღის აღსანიშნავად შეძენილ საჩუქრების გარდა, შეიძინოს ღირსეული ქამარ-ხანჯალი წითელ კავალერ ალ. გეგეჭკორის დასასაჩუქრებლად აღმასკომის სახსოვრათ.

— **ავჭალის რაიონის ქალაქის განაპირა უბნათ გამოცხადება.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ავჭალის რაიონი ჩასთვალოს ქ. თბილისის განაპირა უბნათ, საბინაო დეკრეტში გათვალისწინებულ შეღავათების მინიჭებით.

— **საქართველო რუსეთის გამოფენაზე.** საქართველოს საგამომფენო კომისიამ უკვე დაასრულა გამოფენისთვის საჭირო მასალების შეგროვება. ამ დღეებში გაგზავნილი იქნება უკანასკნელი მატარებელი დატვირთული გამოფენისათვის საჭირო მასალებით.

— **ახალი პედაგოგიური ჟურნალი „ახალ სკოლისკენ“.** განათლების სახ. კომისარიატის საბჭომ დაადგინა გამოსცეს ქართულ და რუსულ ენაზე ახალი საპედაგოგო ჟურნალი „ახალ სკოლისკენ“. სარედაქციო კოლეგიაში შედიან განათლების სახ. კომისარი დ. კანდელაკი, მ. ორახელაშვილისა, მ. ოკუჯავა, ა. მიქაბერიძე, რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა, გ. ლევიცკი და ლ. გეკერი.

— **მსახიობი დები მესხიშვილები თბილისში.** რუსეთში კარგათ ცნობილი მსახ. დები მესხიშვილები (განსვენებული მსახ. ლადო მესხიშვილის შვილები) ამ დღეებში ჩამოვლენ თბილისში სავასტროლოთ.

— **ინვალიდების ცენტრალური კომიტეტი.** სახ. სოც. დაზღვევის კომიტეტის ინიციატივით თბილისში შესდგა ინვალიდების ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს საკანტროლო ადმინისტრატიული ფუნქციები.

— **ახალი ტრაავის ხაზი ქალაქის სასაკლაოსაკენ** ტრამვაის ხაზის გასაყვანად ტრამვაის დირექციამ რკინიგის გზის მმართველობისაგან მიიღო რკინის ზოდები და 1.600 ცალი გზისათვის საჭირო ხე. აღნიშნულ ხაზის გასაყვანად მუშაობა დამთავრდება აგვისტოს დამლევს.

## პარტიაში

**ს. ძონძირი** (სენაკის მაზრა). ძონძირ-ისულის მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტკომის დადგენილებით ძონძირის პარტიულ ამხანაგებს რ. ნარუშვილს. ლ. ლომაიას და ა. ხუნწარიას დაევალათ პარტ-უჯრედის დაარსება ადგილობრივათ.

მათმა ენერგიულმა მუშაობამ მალე პოვა თანაგრძნობა შეგნებულ მუშებს შორის.

შესაძლებელი შეიქმნა პარტ-უჯრედის დაარსება. ამ მიზნით აღნიშნული ამხანაგების მიერ მოწვეულ იქნა თანამგრძნობთა კრება [illegible] კლუბის დარბაზში. [illegible] მათი საკმაო რაოდენობა. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. რ. ნაროუშვილი, მდივნობდა ამხ. აკ. ხუნწარია. პროგრამის გარშემო ვრცელი მოხსენების მოსმენის შემდეგ გაიმართა შეკითხვები და კამათი აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო თითეულმა მსმენელთაგანმა, რაც ამტკიცებს იმას, რომ მათ შორის უკვე ყოფილა საკმაო შეგნება. მათ შეგნებულათ განაცხადეს სურვილი პარტიაში მუშაობისა. ყველა ისინი გატარებულ იქნენ სარეგისტრაციო წიგნაკში კანდიდატებათ განსაზღვრული ვადით—პარტიული ამხანაგების თავმდებობით.

საკითხი პარტ-უჯრედის დაარსების შესახებ ადგილობრივად ერთხმათ იქნა მიღებული. პარტ-უჯრედის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. რ. ნაროუშვილი, პასუხისმგებელ მდივნათ ამხ. აკ. ხუნწარია.

ამხანაგებში შეგნებისა და გათვითცნობიერების განვითარების მიზნით პარტ-უჯრედი მოითხოვს სათანადო ორგანოსაგან გაზეთისა და პარტ-ლიტერატურის მოწოდებას.

უჯრედის ყოველი წევრი ვალათ იდგენს ენერგიულათ იმუშაოს საერთო საქმეში ხალხის საკეთილდღეოთ.

მდივანი აკ. ხუნწარია.

**დ. ხარაგოული.** 1923 წლის 12 აგვისტოს ხარაგოულში ადგილობრივ შრომის სკოლის შენობაში ნაშუადღევის ორ საათზე შესდგა საქ. მემარც. ს. ფ. პარტიის ხარაგოულის რაიკომის კრება.

თავმჯდომარეობდა ამხ. კ. ასათიანი მდივნის მოვალეობას ასრულებდა ამხ. დ. მაჭავარიანი.

დღის წესრიგში იყო:

1) პარტიული მუშაობა რაიონში.
2. სამაზრო კონფერენციის მოწვევა.
3. საზოგადო სარაიონო კრების მოწვევა.
4. მიმდინარე საკითხები.

აღნიშნული საკითხების განხილვამდე მოკლე მოხსენებას აკეთებს ხარაგოულის რაიკომის მუშაობის შესახებ ამხ. ასათიანი, რასაც კრება ღებულობს ცნობათ.

პარტიული მუშაობის შესახებ კრება ისმენს ტფილისიდან ახლათ დაბრუნებულ ამხანაგის თავზარაშვილის მოხსენებას. მომხსენებელი ეხება საკითხს, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს პარტიული მუშაობა საზოგადოთ და კერძოთ ხარაგოულის რაიონში. ამას გარდა ამხ. ეხება სასოფლო სათემო და სარაიონო კომიტეტების ურთიერთ დამოკიდებულებას და ცალ-ცალკე არკვევს მათ ფუნქციებს.

2. სამაზრო კონფერენციის მოწვევის შესახებ საჭიროთ მიაჩნია მისი დაჩქარებით მოწვევა და ადგენს იშუამდგომლოს სამაზრო კომიტეტის წინაშე, რათა კონფერენციის მოწვევის დღეთ დაინიშნოს 19 აგვისტოს.

3 რაიკომის კრებას აუცილებელ საჭიროთ

# საგულისხმიერო კამათი ეროვნულ საკითხის გარშემო

1.

ეროვნული საკითხი დიდი რევოლიუციონური, ისტორიული საკითხია. მაგრამ ამ საკითხით სურს ისულდგმულოს კაპიტალისტურ მსოფლიოს. როგორც კლასთა ბრძოლის თეორია და პოლიტიკა ერთია, ხოლო მას სხვა და სხვა მხრივ და მიზნით იყენებს საზოგადოების სხვა და სხვა კლასი, ისევე ერთია ეროვნული ბრძოლის თეორია და პოლიტიკა, რომელსაც ერთნაირად იყენებს ბურჟუაზია, ხოლო მეორე ნაირად პროლეტარიატი.

ფაშიზმის მამათმთავარი, მუსოლინი, იტალიაში მხოლოდ ეროვნული პოლიტიკის მიხედვით ამართლებს კაპიტალისტურ რეაქციას. დღეს საფრანგეთის ფაშისტები,—კამლოისტები და მათი ბელადები, რეალ სარტები და დოდენი, ბულანჟიადას ქმნიან როიალისტურ რეაქციისათვის.

აქ არ არის საჭირო სხვა ქვეყნის მაგალითები. სარტყლის მეორე სათავეში რევოლიუციონური რუსეთი სდგას და ისიც ანვითარებს ეროვნულ პოლიტიკას. ალექსი სტოლიპინს ჰგონია, რომ ლენინის რუსეთი სამუდამოდ იღუპება ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკით, ქართველ კამლოისტებს კი (მენშევიკები, ნაცდონები და სხ.) მუდამ ელანდებათ რუსული იმპერიალიზმი, რომელიც თითქოს უკანასკნელ სულს ართმევს უამრავ წვრილ ერებს.

აქედან ცხადია, რომ ეროვნული საკითხი ყოველ კლასის და პარტიის მოქმედების სარბიელია, წყაროა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჭეშმარიტი მიმართულება ეროვნული პოლიტიკისა, რათა შეუცდომლად განვსჭვრიტოთ საკუთარი ეროვნული გეზი.

ერთი ბუნება თანა სდევს ეროვნულ ინტერესს და საკითხს: როგორადაც არ უნდა გადაიჭრეს ეროვნული საკითხი, ერთი მხარე მუდამ ფიქრობს, რომ საკითხის გადაჭრით წააგეო. სასტიკი და უაღრესი ეგალიტარიზმი რომ გატარდეს ეროვნულს პრაქტიკაში მინიმუმ მინიმორუმს მუდამ წაგებულად წარმოიდგენს ეროვნება. არ შეიძლება ეროვნების ასი პროცენტით დაკმაყოფილება. ამაშია ეროვნული ინტერესის სირთულე.

საკითხის საზრიანი გადაჭრით ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ საკითხის რიგიანად გადაჭრას მიუახლოვდეთ, ეს იქნება ჩვენთვის დიდი გამარჯვების მიღწევა. ამ მოსაზრებით ოცი წელიწადია ჩვენი პარტია მუდამ თავს დასტრიალებს ეროვნულ პრობლებას და იკვლევს მის ასავალ-დასავალს. არა მარტო ჩვენ,—ჯგუფები, რომელნიც გუშინ უარყოფდნენ ეროვნულ თვალსაზრისს—დღეს ეროვნულ საკითხს სწავლობენ. ასეთს მდგომარეობაში არიან, მაგალითად კომუნისტები. მაგრამ კომუნისტებს ძალიან ხელსაყრელ პირობებში მოუწიათ ეროვნული კითხვისათვის ხელის მოკიდება: მთელი ლიტერატურული თაობა მათ გამოიყენეს, როგორც მასალა და მოახერხეს გაბედული ნაბიჯების გადადგმა.

აი ამ საინტერესო გარემოებამ მიიპყრო ჩვენი გაზეთის ყურადღება, რამაც გამოიწვია საგულისხმიერო კამათი ამხ. სან-დონსა და სერგო ამაღლობელს შორის.

მე დიდის ინტერესით ვადევნებდი თვალყურს ამ კამათს. მეტად ახალი სფეროა მსჯელობის, ორგინალური, მეტად სერიოზული და პასუხსაგები.

ვიდრე ორიოდე სიტყვით შევეხებოდე თვით საკითხის დაყენებას, არ შემიძლია არ აღვნუსხო, რომ პოლემისტებმა ისე შესტოპეს პოლემიკის მორევში, რომ ხშირად ავიწყდებათ ამხანაგური ეთიკა და უდიერად უმასპინძლდებიან ერთი მეორეს. ეს მომენტი ხსენებულ ამხანაგების პოლემიკას ღირსებას უმცირებს და ჩრდილს ჰფენს. შემდეგში პოლემიკის ეს ფორმა ჩვენმა პარტიულმა პრესამ უეჭველად უნდა დაგმოს.

სერგო ამაღლობელს ამხ. სან-დონმა ერთი მთავარი ბრალი დასდო: ამაღლობელი ვერ არჩევს იმ დიდ ცვლილებებს, რომელსაც განიცდის თეორეტიული მარქსიზმი ამ ჟამად ეროვნულს საკითხში. სან-დონი ხედავს ახალ ნაკადს, ახალ მიმართულებას ეროვნულს საკითხში. ამაღლობელს აშინებს ეს ახალი ნაკადი, ამ ნაკადის შემჩნევა სან-დონის მიერ მას მიაჩნია პარტიულ დისციპლინის, პარტიულ თეორიის შესუსტებად. ჩვენს მასებში აზრების ხეტიალის ხელის შეწყობად, თუმცა ჩემთვის პარტიულ თეორიის გამარჯვება იქნებოდა მხოლოდ კომუნისტებს რომ კიდევ მეტი ნაბიჯები გადაედგათ ეროვნულ თეორიის და პრაქტიკის სფეროში.

თავისი ცდით,—გააშუქოს კომუნისტურ მწერლობაში გაღვიძებული ინტერესი და ახალი ინტერპრეტაცია ეროვნული საკითხისა,—ამხ. სან-დონმა მეტად საგულისხმიერო შრომა მიუძღვნა ქართველ საზოგადოებას. ამაღლობელი ცდილობს ლოღიკურ სალტომორტალეში გახვიოს ამხ. სან-დონი, მაგრამ ამ ცდაში ის იმდენად დამარცხდა, რომ არსებითად ვერ გააქარწყლა სან-დონის მთავარი დებულებანი, რომ კომუნისტური ლიტერატურა არ იძლევა სან-დონის მიერ აღნიშნულ ნიშნებსო. ამ დებულების დასაცავად ამაღლობელს შეეძლო დიდძალი ლიტერატურა გამოეყენებია, მაგრამ, მე არ ვიცი რისთვის, ეს ლიტერატურა მას გამორჩა.

ამხ. სან-დონი თავის წერილებში კიდევ უფრო შორს წავიდა:—ის კომუნისტების მამათმთავრებს მარქსს და ენგელს მიმართავს და თანამედროვე მარქსისტულ თაობას ეუბნება:—თქვენი ლიდერები დიდი ეროვნული მოღვაწეები იყვნენ და საღად ჰქონდათ შეთვისებული ეროვნული მოძღვრების მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ სან-დონი არ გაშორებია მარქს-ენგელს და მას არ გამოუყენებია მთელი საამისო მასალა ძველი მარქსისტებისა, მაინც სან-დონი არა მარტო ქართულს მწერლობაში, რუსულ და ევროპიულ მწერლებშიაც ერთად ერთი მუშაკთაგანია, რომელმაც დაიწყო და დალაგებით გადმოგვცა მარქს-ენგელსის შეხედულებანი ეროვნულს საკითხზე. დაბეჯითებით ურჩევდი ამხ. სან-დონს თავისი წერილები კიდევ უფრო გაეფართოვებია, სავსებით გამოეყენებია როგორც მარქს-ენგელსის ყველა ნაწერი, ისე ძველ მამათმთავართა ნაშრომები და მთელი ფოლიანტი ეძლევა თანამედროვე თაობისათვის. ჭეშმარიტად სან დონის ნაშრომი დაიჭერდა ერთ პირველ ადგილთაგანს მთელს რუსეთის მწერლობაში, რომელიც დღეს მარქსიზმის და სოციალიზმის დარგში პირველ ადგილს იჭერს მსოფლიოში.

რუსული კომუნიზმი, რამდენადაც მას ჩვენ ვიცნობთ ვლად მერ ულიანოვის (ლენინის) შემოქმედებით ძირითად განსხვავდება იმ მარქსიზმიდან, რომელსაც ჩვენ, ფედერალისტები, ვაკრიტიკებდით. იგი მარქსიზმი იყო კაუცკიანური მარქსიზმი, რეფორმისტული სოციალიზმი, პოსიბილისტური თეორია. კაუცკიანისტური მარქსიზმი, რომლის შედევრია ლიტერატურული ნაწარმოები კაუცკის—„რასსათა თეორია“, უარყოფით ხედებოდა ნაციონალურ საკითხებს. ამ უარყოფას სისტემატიურად იზიარებდა სოციალ დემოკრატიულ პარტიის ორივე მიმდინარეობა, როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური (კომუნისტები). მარქსიზმს, რომელსაც ჩვენი პარტია აკრიტიკებდა **სავსებით ახასიათებდა** ეროვნული საკითხის უარყოფა და ჩვენ არც შეგვეძლო, არც საჭირო იყო იმ რამდენიმე მარგალიტი აზრის **გაზვიადება, დამახასიათებლად მიღება,** რომელიც ვერ ახასიათებდა მარქსისტულ შემეცნებას და პრაქტიკას.

ლენინმა ქარტეხილის ძალით ააფორიაქა კაუცკიანური მარქსიზმი. სახელმწიფოებრივ საკითხში, დიქტატურის პრობლემაში ლენინმა ძირ-ფესვიანად გადააბრუნა კაუცკიანური მარქსიზმი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლიუცია“ მარქსის მეორე „სამოქალაქო ომია საფრანგეთში“, შედევრია რევოლიუციონურ მარქსიზმის შესასწავლად. იმავე ლენინის გამოქვეყნებული წერილები და აგრეთვე დაუბეჭდავი წერილები, აგრეთვე ნაშრომი ჯუღაშვილ სტალინის, მე 12 ყრილობის, ივნისის თათბირის და ლენინის წერილების შემდეგ კომპარტიის მთელი პოზიცია, გამოქვეყნებული ახალი სიტყვები ზინოვიევის, ტროცკის, რაკოვსკის და სხ. მოასწავებენ კაუცკიანური მარქსიზმის ამ საკითხშიაც უარყოფას და რევოლიუციონური მარქსიზმის გადატანას ეროვნულს საკითხში.

დღეს ჩვენ რევოლიუციონურ მარქსიზმში ელემენტებს და მომენტებს კი არ დავეძებთ ეროვნულ საკითხის სასარგებლოდ, მთელი უკანასკნელი კომუნისტური ლიტერატურა **ხასიათდება** ეროვნული კითხვის ტაქტიკის და პრინციპის სიმაღლეზე აყვანით.

ამხ. სან-დონმა ეს პროცესი შეამჩნია და კითხვას შორიდან მოუარა, კომუნისტებს გენეალოგიის სალერღელი აუშალა და შეეცადა მთლიანი სურათის დახატვას. ამ მხრივ ამხ. სან დონის ცდა მეტად საყურადღებოა და კიდევ მეტი ჯაფის დახარჯვით ამხ. სან-დონს შეუძლია კიდევ უფრო დამთავრებული სურათის შექმნა.

ამხ. ამაღლობელს ჰგონია, რომ რამდენადაც ჩვენ მეტ სიყვარულს დავინახავთ კომპარტიის მხრივ ეროვნულ საკითხისადმი, იმდენადვე ჩვენი პარტია თეორიულად შესუსტდება. ეს სრული ჭეშმარიტებაა. პარტიის მრწამსი, როცა მთელი ხალხის მრწამსად ხდება, პარტიული ელფერი მრწამსს ეკარგება და იგი ეროვნული ხდება. კომპარტიამ რომ სავსებით ჩვენი შეხედულება გაიზიაროს ეს ჩვენ გაგვთქვეფს, როგორც უფრო სუსტ ძალას, მაგრამ ამით თეორია ოდნავადაც არაფერს დაკარგავს. ამიტომაა ამხ. სერგოს შიში ნაადრევი და უსაფუძვლო.

ჩვენ აქ მხოლოდ ლიტონი დებულებანი წამოვაყენეთ რევოლიუციონური მარქსიზმის მხრივ ეროვნული საკითხისადმი დიდი ყურადღების მიქცევის შესახებ. ვნახოთ მისი პრაქტიკა ცხოვრებაში.

თედო ღლონტი.

მიაჩნია ხუთშაბათს აგვისტოს 16 მოიწვიოს საზოგადო კრება.

4. მიმდინარე საკითხებიდან გამოყოფილ იქნა საკითხი პარტიაში ახალ წევრთა მიღების შესახებ რაიონში ახალი ორგანიზაციების დაარსება და პრეზიდიუმის ხელახალი არჩევა.

პირველ საკითხის შესახებ კრება ისმენს საინფორმაციო ხასიათის მოხსენებას მთავარი კომიტეტის წარმომადგენელისაგან, რაც მიღებულ იქმნა სახელმძღვანელოთ რაიონში ახალი ორგანიზაციების დაარსების მიზნით კრებამ გამოყო თავის წრიდან სპეციალური კომისიები, რომლებსაც დაევალა სოფლებში და თემებში კრებების ტეხნიკურათ მოწყობა ხოლო მოხსენების გაკეთება, ჩვენი პარტიის პროგრამის და მსოფლმხედველობის შესახებ დაევალა ამხ. გ. თავზარაშვილს.

ახალ პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ ქ. ასათიანი, ი. ქუთათელაძე, შ. მაჭავარიანი და შ. სვანიძე.

ახალ აირჩეულ პრეზიდიუმს დაევალა ენერგიული მუშაობა და აქტივობა. კრება დასრულდა საღამოს 5 ნახ. საათზე.

კრების მდივანი **დაშ. მაჭავარიანი.**

# მასიური პროლეტარული პარტია ამერიკაში

სამრეწველო მუშათა და ფერმერებს რჩებათ მხოლოდ ერთად ერთი საშუალება საფინანსო და სამრეწველო მეფეების მყვლეფელობის წინააღმდეგ.

ეს არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია მუშათა და ფერმერთა ინტერესების დაცვა, მათი დამოუკიდებლად გამოყვანა პოლიტიკურ ასპარეზზე იმ მოსაზრებით, რომ ჩაიგდონ ხელში მთავრობის კონტროლი, რომელიც უპყრიათ ფინანსისტებს და მრეწველებს.

ამ მოსაზრებით ის აცხადებს ყველა ორგანიზაციის, როგორც სამრეწველო, ისე მიწის მუშათა საყურადღებოდ და მოუწოდებს მათ შეერთებისაკენ, რათა შეერთებული ძალით აწარმოონ ბრძოლა ფერმერთა და მუშათა განთავისუფლებისათვის.

ასეთია დასკვნითი სიტყვები პირველი თეორეტიული პროგრამის ნაწილისა, რომელიც შემუშავდა პარტიაში.

ეს ნაწილი პროგრამისა სრულიად მარტივად ახასიათებს მშრომელთა მდგომარეობას ამერიკაში ერთი მხრივ და აგრეთვე როლს მართველთა პარტიის მეორე მხრივ, როგორც იარაღს კაპიტალისტური დიქტატურისას.

ახალი პარტია, როგორც თავის შემადგენლობით, ისე პროგრამითაც არ არის კომუნისტური.

და ეს იქიდანაც კი სჩანს, რომ კომუნისტურ მუშათა პარტიაში ითვლება მხოლოდ 20,000 წევრი იმ დროს, როდესაც ჩიკაგოს ყრილობაზე იყო წარმოდგენილი დაახლოვებით ნახევარ მილიონზე მეტი წევრი მუშათა ორგანიზაციებიდან. აგრეთვე, როგორც ცენტრალური კომიტეტში, ისე აღმასრულებელ საბჭოში კომუნისტები შეადგენენ უმცირესობას.

და თვით პროგრამაში კი არ არის ნათქვამი არც ერთი სიტყვა, როგორც კაპიტალიზმის საბოლოოდ მოსპობის შესახებ, ისე სოციალურ წესწყობილებაზე, სოციალურ რევოლიუციაზე და აგრეთვე პროლეტარიატის დიქტატურაზედ.

მაგრამ მიუხედავად პარტიის ასეთი შემადგენლობისა ყრილობამ დაიჭირა მარცხენა ფრთა.

და ეს მოხდა არამც თუ გომპერსის და მის თანამოაზრეებში, არამედ ისეთ მეთაურებშიაც კი, რომლებმაც თავის მრავალწლიანი ოპოზიციით გომპერსის მიმართ დაიმსახურეს „რადიკალობა", როგორც მაგალითად იყო ჩიკაგოს შრომის ფედერაციის თავმჯდომარე (ცენტრალურ ბიუროს კავშირისა) ჯონი ფიცპატრიკი.

ახალი პარტიის პროგრამის მოთხოვნილება განისაზღვრება რადიკალური ხასიათის რეფორმებით: ნაციონალიზაცია ტრანსპორტის, კანონმდებლობითი დადგენილება 8 საათ. სამუშაო დღის, სახელმწიფო სესხი ფერმერებს და მუშებს, მცირე წლოვანთა შრომის აკრძალვა 18 წლიანთა ქვევით, კანონმდებლობითი დადგენილება სამუშაო ხელფასის მინიმუმის გაღებისათვის (რომლის დროსაც ნორმის გამომუშავება უნდა მოხდეს პროფკავშირების წარმომადგენლების მონაწილეობით).

სავალდებულო სწავლა მოზრდილთათვის 18 წლამდე.

პრემიის დარიგება უკანასკნელ ომის მონაწილეთათვის.

სახელმწიფო დაზღვევა სხვა და სხვა შემთხვევისათვის, როგორიც არის ავადმყოფობა, დაჭრა, სიკვდილი.

დაზღვევა დედობის (**материнства**) და სხვა.

შემდეგ არის მთელი რიგი პუნქტები, რომლებიც შეეხება ფერმერთა ინტერესებს: გადასახადთა სისტემა მიმართული მსხვილ მიწათ-მფლობელობის და წვრილ ფერმერულ იჯრის მოსპობისაკენ ბუნებრივი სიმდიდრის განსაზოგადოება, გადახდა მშრომელ ფერმერთა ვალების, რომელთაც დაგირავებული აქვთ მიწა და სხ.

ამ პროგრამაში არ არის არც ერთი ისეთი მოთხოვნილება. რომელიც ამა თუ ფორმით არ ყოფილიყოს წამოყენებული მუშათა პარტიისაგან, რომლებმაც თავი იჩინეს სხვა და სხვა შტატებში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, მაგრამ ამასთანავე პროგრამმა აყენებს ორ პუნქტს, რომელიც არაფრად მოსწონს ზომიერ ლიდერებს: მოთხოვნილება წარმოების და ტრანსპორტის ნაციონალიზაციისა, რომლის სისრულეში მოყვანა მათი აზრით შეუძლებელია მანამდე, სანამ მთავრობა არ მოექცევა მუშათა და ფერმერთა კონტროლის ქვეშ.

არ უნდა დავივიწყოთ, რამდენადაც მრეწველობის კონტროლი იქნება მუშათა და ფერმერთა მძლავრ წარმომადგენლების ხელში, იმდენად ადვილად შეიძლება დღევანდელ პირობებში ზემოაღნიშნული ნაციონალიზაციის განხორციელება.

მთელი პროგრამა აგებულია იმ მუშათა და ფერმერთა ინტერესებზე, რომლებმაც შეიგნეს, რომ მათი ისტერესები პირდაპირ ეწინააღმდეგება კაპიტალიზმის ინტერესებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ კომუნიზმამდის.

მეორე მხრივ პროგრამა სრულიად განსხვავდება იმ აზრით, რომელიც სრულიად ყოფს მუშათა და ფერმერებს კაპიტალისტებისაგან. ფედერატიული ფერმერი მუშათა პარტიაში დაშვებულია მხოლოდ მუშათა და ფერმერთა ორგანიზაციები, რომლებიც სრულიად იზიარებენ მათ პროგრამას.

ეს გაერთიანებაა მშრომელთა თავის პარტიის გარშემო განსაზღვრული მიზნით, რომელიც მდგომარეობს კაპიტალიზმის მოსპობისათვის ბრძოლაში.

ეს არის მუშურ გლეხური პარტია, რომელიც სრულიათ დამოუკიდებლად გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

ჩიკაგოს კონფერენციაზე „წითელმა საშიშროებამ", რომელიც განსაკუთრებით აშინებდა ძველ მეთაურებს, მიიღო საკმაოდ სერიოზული სახე. ის იფარებოდა არა კომუნისტ—დელეგატთა სიმრავლეში (ისინი იყვნენ არა უმეტეს 175-ისა იმ დროს როდესაც მთელი ყრილობას დაესწრო დაახლოვებით 700 წევრი) არამედ თვით დელეგატთა მასსების სულიერ განწყობილებაში, ისინი უმთავრესად იყვნენ მოსულნი „მიწებიდგან", რომელშიაც მსხვილი ბიუროკრატია არ ღებულობდა მონაწილეობას.

მკერავთა კავშირმა, რომელიც მოწინავე კავშირის რეპუტაციით სარგებლობდა, გამოგზავნა მხოლოდ რამოდენიმე მეთვალყურე, მაგრამ აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. სამაგიეროდ ადგილობრივ ორგანიზაციებმა და ცალკე იუნიონთა სექციებმა ფარულად გამოეხმაურეს იმ კონფერენციას.

ძველ ფერმერ-მუშათა მეთაურებმა კონფერენციაზე გაილაშქრნენ მუშათა პარტიის წინააღმდეგ, რომ მათ მიიღეს კომინტერნის ხელმძღვანელობა. ბრძოლამ მიიღო კამათის ხასიათი შესახებ პროლეტრული ბრძოლის მეთოდებისა, რომლის დასრულებისას გამოირკვა, რომ მასსა უკვე ჩამოსცილდა ძველ მეთაურებს.

მაგრამ ყველაზე ძლიერი ეფფექტი მოახდინა ერთი ვაშინგტონელი ფერმერის სიტყვამ: „ჩვენო, სთქვა მან, ყველაფერი გვინახავს; ჩვენ კუკლუკს კლანი (ამერიკულ ფაშისტები) თავში გვირტყამდა. აგრეთვე პოლიცია არა ერთხელ კეტებით გვიმასპინძლდებოდა, რითაც ძალმომრეობას და უსამართლობას გვაჩვევდა. ამისთვის ჩვენთვის საჭიროა მუშათა მებრძოლი ორგანიზაცია და რაც შეეხება კანონიერებას ეს ჩვენზედ არ არის დამოკიდებული".

სიტყვა იყო წარმოთქმული საპასუხოდ ძველი მეთაურების წინადადებისა, რომ დაგმობილ იქმნას პოლიტიკური ბრძოლის დროს „უკანონო საშუალებანი".

მრავალი უპარტიო, რომელთაც არავითარი საერთო არ ჰქონდათ მუშათა პარტიასთან სასტიკათ იცავდნენ კომინტერნს.

გამოირკვა რომ დელეგატთა მასსები, რომლებიც შედიოდენ ძველ ფერმერ—მუშათა პარტიაში, გადავიდნენ ახალ ფედერატიულ პარტიაში.

მთელი რიგი ძველი ფერმერ—მუშათა პარტიის ორგანიზაციისა ოგაიოს, კენტუკკის, ვაშინგტონის, ილინოიზის (გარდა ჩიკაგოსი), მიემხრენ ახალ პარტიას.

არაფერი ამას მსგავსი არ ახსოვს ამერიკელ მუშათა მოძრაობის ისტორიას.

არაფერი ამის მზგავსი არ შეგვეძლო წარმოგვედგინა ერთი წლის წინად და დღეს კი ახალი პარტიის მოვალეობაა, აწარმოოს განუწყვეტელი ბრძოლა არა მარტო ძველი კაპიტალისტური პარტიების და პოლიტიკური რადიკალურ-ლიბერალური ახალი ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც აუცილებლად გამოჩნდებიან 1924 წლის არჩევნების ჰორიზონტზე, არამედ თვით გომპერსის „მანქანისა" და თვით სოციალისტების წინააღმდეგაც კი.

მაგრამ ობიექტიური პირობები დღეს-დღეობით ისეთია, რომ სიძნელე წინსვლისა ახალ პარტიას სრულიად არ აშინებს.

რაც შეეხება მუშათა პარტიას მან ძლიერ ბევრი მოიგო.

ერთი, რომ ის დაუპირისპირდა ფართე მუშათა მასსებს; მეორე მან დაანახვა თავისი სერიოზული დამოკიდებულება მუშათა ინტერესებისადმი, და ეხლა კი მის წინაშე იქნება ძლიერ ფართე პერსპექტივები.

(იზვესტია).

# საკონტრიბუციო საკითხი

### ბრიტანეთის ნოტის დასასრული.

ბრიტანეთის მთავრობა თანახმაა, რათა მთავარ დადგენილებათა და ხილშეკრულებათა კანონიერ განმარტებათა გარშემო ესა თუ ის უთანხმოებანი, რომელიც აღიძვრის მოკავშირეთა მთავრობებსა და გერმანიის მთავრობის შორის, ან სხვა და სხვა მოკავშირეთა მთავრობებს შორის, ავტომატიურად გადაეცეს ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს, ან რომელიმე სხვა საარბიტრაჟო ორგანოს.

საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები აღნიშნავენ, რომ თუ მხოლოდ დიდი ბრიტანეთი მხარს დაუჭერდა ოკუპაციას, ადგილი არ ექნებოდა პასიურ წინააღმდეგობას და საკონტრიბუციო გადასახადების შემოტანა უზრუნველყოფილი იქნებოდა. იცავს რა აღნიშნულ თვალსაზრისს, როგორც ოკუპაციის კანონიერების, ისე მის პრაქტიკულ მნიშვნელობის შესახებ, ბრიტანეთის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია ამ ოპერაციაში მონაწილეობის მიღება.

ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობს, რომ იგი სრული ყურადღებით მოეპყრო როგორც საფრანგეთის და ბელგიის მდგომარეობას, ისე განუწყვეტელ და თავის დროზე გადახდის ნამდვილ გარანტიების საკითხს მაშინ, როდესაც ის მოითხოვდა, რათა ოკუპაცია ბუნებრივად შეწყვეტილიყო იმ მომენტიდან, როცა გარანტიები და უზრუნველყოფანი, რომელნიც ნაკლებ სამძიმოა ეკონომიურად, მაგრამ უფრო ნამდვილია პრაქტიკულად, ვიდრე რურის ოკუპაცია, იქნებოდა -არა მარტო მიღებული და დაწესებული, არამედ კიდეც მოჰყვებოდა მათ დამაკმაყოფილებელი შედეგები. მაგრამ ამ წინადადებას გადაჭრილი უარით შეხვდენ. ორივე მთავრობამ, საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა გადაჭრით განაცხადეს, რომ ზედმეტია ლაპარაკი რურის ოკუპაციაზე, მანამ სანამ გერმანიის მთავრობა არ შემოიტანს გადასახადსო. საბოლოო ევაკუაცია მხოლოდ მას შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც გერმანია სრულად გადაიხდიდა საკონტრიბუციო თანხებს. ამის გამო განმეორებითი განცხადება, როდესაც დაჟინებით მოითხოვენ უცვლელად დარჩეს გერმანიის ვალის (132 მილიარდი ოქროს მარკა) საერთო ჯამი შეიძლება ახსნილ იქნეს მხოლოდ, როგორც რურის ოკუპაციის რამდენიმე წლით განგრძობის ცდა, ამასთანავე ეს ვადა არ იქნება 36 წელზე ნაკლები, რადგან ასეთი პერიოდია მინიმუმი, რომლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება ვალის დაფარვა, ამასთან ერთად ეს ვადა, რადგან სათუოა ყველა საკონტრიბუციო პირობების შესრულება, ფაქტიურათ შეიძლება იქნეს გაგრძელებული რამდენჯერმე, თუ დაუსრულებლად არა.

ასეთი მდგომარეობა,—რომლის პოლიტიკური შედეგები, თუ არ ვილაპარაკებთ ეკონომიურ შედეგებზე, შეიძლება დახასიათდეს, როგორც გასაჭირი,—არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული ბრიტანეთის მთავრობის მიერ დიდი სიფრთხილით. ეს მდგომარეობა ჩქარა მიიყვანს საერთაშორისო ურთიერთობის საფრთხემდე, რომელიც, ხელშეკრულების მე-2-ე მუხლის სიტყვებით რომ ვსთქვათ, განადგურებით ემუქრება საერთაშორისო მშვიდობიანობას და ურთიერთ თანხმობას ერებს შორის, რომელზედაც დამოკიდებული არის მშვიდობიანობა.

ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია დაუშვას, რომ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები შესძლებენ შეუთანხმონ მსოფლიოს ეს აზრი დაუბოლავებლად ასეთი საშიში მდგომარეობის დატოვებას. როგორც გამოირკვა, რურის ოკუპაციამ უკვე დაამტკიცა, რომ უკანასკნელი პირდაპირ ან არა პირდაპირ სერიოზულ გავლენას ახდენს არა მარტო გერმანიის ეკონომიურ და სამრეწველო ძლიერებაზე რომლის გადახდის უნარიანობა უფრო და უფრო მცირდება, არამედ აგრეთვე დანარჩენ ევროპაზედაც, თუ არა მთელ მსოფლიოზე და არავითარ შემთხვევაში არა მხოლოდ ინგლისზე.

გადადის რა მოკავშირეების ვალებზე, ნოტა ამბობს: „ბრიტანეთის გეგმის მთავარი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ დიდმა ბრიტანეთმა ანგარიში უნდა გაუწიოს ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილების სამართლიან განცხადებებს, განისაზღვროს ინგლისის მოთხოვნილებები გადასახდზე მოკავშირეების და გერმანიის მხრივ, განსაზღვრული თანხით, დაახლოვებით 14,2 მილიარდ ოქროს მარკით.

,(გამოტოვებულია)... ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის მთავრობა მზად არის განიხილოს საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ, არ უნდა იქნეს გაგებული იმ აზრით, თითქოს ბრიტანეთის მთავრობას სურდეს ხელის აღება კრედიტორობის უფლებებზე... (გამოტოვებულია)...

თუმცაღა, ხელშეკრულებაში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბრიტანეთის მთავრობამ განაახლა საფრანგეთის გადასახადის ვალდებულება, სცნობდა რა, რომ ჯერ არ იყო მოახლოვებული ვადა ასეთის დაფარვისათვის, მაგრამ საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით იქნეს შეთვისებული ის აზრი, რომ სხვა რაიმე შეთანხმების უქონლობის გამო, რჩება საფრანგეთის მთავრობის ვალდებულება, რომელზედაც სინდისის წინაშე არ შეიძლება უარის თქმა და რემელიც, მიუხედავად არსებული წესისა კაპიტლისათვის პროცენტების შეერთებაზე, არ შეიძლება დატოვებული იქნეს სამუდამოდ ერთსა და იმავე მდგომარეობაში და ამავე დროს გადახდის დაწყება, პროცენტების ნაწილის მაინც. უნდა მოხდეს ყოველშემთხვევაში მაშინათვე, როგორც კი დაწესდება მტკიცე კურსი გირვანქა სტერლინგზე და ფრანკზე".

ნოტა აღნიშნავს, რომ საფრანგეთი, ამცირებს რა გერმანიის გადახდის უნარიანობას, [illegible] ლით ამცირებს აგრეთვე თავის საკუთარ გადახდისუნარიანობას ინგლისის ვალის მიმართ.

ნოტის ზოგიერთ ადგილების კილო ძლიერ მკაცრია; განსაკუთრებით მემორანდუმში ვალების შესახებ, რომლითაც თავდება ნოტა. ამ მემორანდუმში ლორდ კერზონი თანხმობას გამოსთქვამს განიხილოს საფრანგეთის მთავრობასთან ერთად შეთანხმება, რომლის საშუალებითაც უნდა შეუმსუბუქდეს საფრანგეთს ინგლისის ვალის სიმძიმე.

ლორდ კერზონი აღნიშნავს აგრეთვე, რომ საფრანგეთის ხაზინის ვალდებულება ბრიტანეთის მთავრობისადმი არ განირჩევა კერძო პირების მიერ გაცემულ ვალდებულებებისაგან და იგონებს იმ მიზეზებს, რომლის მიხედვითაც ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ეს ვალდებულება, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ საფრანგეთის კრედიტი არ იძლეოდა უზრუნველყოფას ფულების მიღებისათვის, თუ მას არ გაუწევდა დახმარებას ბრიტანეთის კრედიტი.

დასასრულ ნოტაში მოყვანილია საკმაოდ ნათელი მუქარა, რომ გამოყენებული იქნება სეპარატიული მოქმედება, რაც აუცილებელი იქნება იმისათვის, რათა დაჩქარებული იქნეს გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიძლება შემდეგში გადაიდოს სერიოზულ შედეგების თავიდან აუცდენლად.

ნოტა მოითხოვს სასწრაფო და საბოლოო პასუხს.

როგორი იქნება შემდეგი ნაბიჯები, გამოირკვევა იქიდან, თუ როგორი იქნება საფრანგეთის პასუხი ბრიტანეთის ნოტაზე.

# იმედგაცრუებულნი

ფრიად ღირსშესანიშნი ცამბები ხდება ჩვენს პოლიტიკურს ცხოვრებაში: ქართველი პოლიტიკური პარტიები, რომელნიც დიდ ანტაგონიზმში იყვნენ დღევანდელ ხელისუფლებასთან და ევროპის სისხლის მსმელ იმპერიალისტებისაგან მოელოდნენ საქართველოს ხსნას და გაბედნიერებას,—დღეს ფარ-ხმალს ჰყრიან და სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა მთავრობას. უნაყოფოდ დაჰკარგეს მათ ამდენი დრო და ენერგია ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში და ასეთმა მათმა პოლიტიკურმა სიბეცემ, რომელიც მათ თავიდგანვე გამოიჩინეს, ზიანის მეტი არა მოუტანა რა ქართველ ხალხს, დიდი შორსმჭვრეტელობა არ იყო იყო საჭირო იმის გასათვალისწინებლად, რომ დენიკინ-ვრანგელის გამარჯვება რუსეთში მოგვიტანდა რეაქციის შავი მოციქულების მიერ საქართველოს დაპყრობას და ეროვნულ უფლებების სრულ გათელვას; ამ შემთხვევაში ვერ გვიხსნიდა ჩვენ ანტანტა, როგორც ვერ იხსნა მან მენშევიკები დაღუპვისაგან. მაშასადაიე, ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს კავშირი უნდა ექმნათ არა ევროპის რეაქციონერებთან, რომელნიც დენიკინისთანა ხულიგანებს მფარველობდნენ, არამედ სოციალისტურ რუსეთთან, რომელნიც ნამდვილი მფარველი და მეგობარი იქნებოდა თვისი მოკავშირე პატარა ერებისა. ვინ იტყვის, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის გზი თავიდგანვე სწორი იყო ეროვნულ საკითხში, მაგრამ კომუნისტურმა მთავრობამ ეროვნულ საკითხს უაღრესი ყურადღება მიაქცია და ისე გადასჭრა იგი, რომ არც ერთი პატარა ერის კულტურული და პოლიტიკური უფლებები არ შელახულიყო და ყველას მიჰნიჭებოდა თავისუფალი განვითარების საშუალება. რომ საბჭოთა მთავრობა ამ გზას დაადგებოდა, ეს ისედაც აშკარა იყო, ვინაიდგან ის იბრძვის როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და შემცდარნი იყვნენ ის პოლიტიკური ჯგუფები, ვინც ალღო ვერ აუღეს მომხდარ პოლიტიკურ აქტს და თავიანთი უნაყოფო, მტრული მოქმედებით, მხოლოდ გააღიზიანეს მათ მიმართ ხელისუფლება და უფრო მეტად შეაჩერეს საქართველოს ეროვნულ აღორძინების საქმე, მიტომ, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩარევით, საბჭოთა მთავრობასთან სოლიდარული მუშაობით და კულტურული ბრძოლით უფრო მეტი გაკეთდებოდა, ვიდრე ფარული მტრობით და ინტერვენციის მოლოდინით.

ჩვენი სურვილია, რომ ვისაც კიდევ ცოტა რამ ზრახვები უდევს გულში დასავლეთის მიმართ, უარჰყოს ეგ განუხორციელებელი ოცნებები, მიჰხვდეს სამუდამოდ, რომ ანტანტა იბრძვის არა ჩაგრულ ხალთა თავისუფლებისათვის, არამედ თავისი კაპიტალისტური მადის დაკმაყოფილებისათვის, და კიდეც რომ მოხდეს სასწაული და საქართველოს განთავისუფლება მოინდომეს ეს იქნებოდა ჩვენი პოლიტიკური დამონება და ეკონომიური სიკვდილი. მოიგონეთ ინგლისელების ბატონობის პერიოდი საქართველოში, გაიხსენეთ რა ხრიკებს არ მიმართავდნენ ისინი, რომ ქართველები, სომხები და თათრები ერთმანეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ (ასეც ხდებოდა), გაიხსენე ბათომის დაბრუნებისათვის ბრძოლა და გაიხსენეთ ირლინდიის მდგომარეობა; მაშინ ნათლად დარწმუნდებით, რომ დასავლეთისადმი ილიუზიები, მომაკვდინებელი შეცდომაა, რომელიც ყოველმა სიღად მოაზროვნე ადამიანმა უნდა უარჰყოს.

**მეხხი გოგია ხმალაძე.**

დ. ბოროჯომი.

# ქ. ტფილისის ხანძართმქრობელი რაზმი

ა. წ. 15 აგვისტოს ტფილისის ალმასკომმა ჩააბარა დროშა ქ. ტფილისის ხანძართმქრობელ რაზმს.

ქ. ტფილისში ხანძართმქრობელი რაზმი დაარსდა 80 წლის წინეთ, იმ დროს როდესაც ტფილისი არ წარმოადგენდა ისე მრავალ რიცხოვან ქალაქს, როგორც დღეს. 80 წლის განმავლობაში ქალაქი გადიდდა, როგორც თავის მოედნით, ისე მცხოვრებლების მხრივ.

შენდებოდა სახლები რამოდენიმე სართულიანი და დღეს დღეობით არის სახლები 4—6 სართულიანი. გამრავლდა ქარხნები და სხვა საწყობები, საავადმყოფოები, თეატრები და მრავალი საზოგადო და სახელმწიფო მნიშვნელობის შენობები. ქალაქის გადიდებასთან ერთად უნდა გადიდებულიყო და გაუმჯობესებულიყო ხანძრისგან დაცვის საქმე მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა და ქ. ტფილისის ხანძრისგან დაცვის საქმე ვერ იდგა სათანადო ლონეზე. ამან გასტანა იმ დრომდე, სანამ ქ. ტფილისის ხანძართმქრობელ რაზმს სათავეში არ ჩაუდგა გამოჩენილი და სათანადოთ ცნობილი მეხანძრე ალ. ბერიძე.

ქ. ტფილისის ხანძრისაგან დაცვის საქმე 1912 წელს ოდნავ წინ წაიწია. ამ დროს დაარსდა მოხალისეთა რაზმი, რომელმაც თავის მოქმედება მალე შესწყვიტა და ქალაქის ხანძრისაგან დაცვის საქმე ჩავარდა ისევ უმწეო მდგომარეობაში.

დღეს საქართველოს ხანძრისგან დაცვის საქმე აბარია ამხ. ალ. ბერიძეს ს. ს. ს. რესპუბლიკის ცეცხილასაგან დაცვის ინსპექტორს, რომელიც არის ქ. ტფილისის ხანძართმქრობელ რაზმების უფროსი (ბრანდ-მაიორი). ამხ. ბერიძემ თავისი მოღვაწეობა დაიწყო რუსეთში 1900 წლიდან. ქ. პეტროგრადში ის იყო ბრანდ-მეისტრად და ქ. ორიოლში ბრანდ-მაიორად, სადაც ის დარჩა აღნიშნულ თანამდებობაზე 1919 წლის დამლევამდე. 1999 წელს კი ის იძულებული იყო დაეტოვებინა ქ, ორიოლი და საერთოდ მთელი რუსეთი და გამომგზავრებულიყო თავის სამშობლოში. მაშინ ქ. ტფილისში არსებობდა მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც არ იყო სათანადოთ მოწყობილი. ჩამოსვლისთანავე მან განიზრახა სათანადო დონეზე დაეყენებინა ხანძრისგან დაცვის საქმე, როგორც საქართველოს დედა ქალაქში, ისე მთელ საქართველოში, მაგრამ მაშინდელმა ყოველივე ცდამ უშედეგოთ ჩაიარა, მისი გამოკვლევები და მოხსენებები ხანძართმქრობელ რაზმების გაუმჯობესების შესახებ ვინ იცის, რომელი მინისტრის საქმეშია ჩაკერებული. ამგვარად მენშევიკების ბატონობის დროს მან ვერ მიაღწია ვერავითარ შედეგებს.

როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელის უფლება ამხ. ბერიძემ დაიწყო მხურვალე მუშაობა, მას სწამდა რომ ამიერიდან ყოველივეს პატრონი შეიქმნა თვით მშრომელი ხალხი, ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნდა გაემაგრებინა და სათანადო დონეზე დაეყენებინა ხანძრისგან დაცვის საქმე და ეს მისი ორი წლის მუშაობამ მას უშედეგოთ არ ჩაუარა. მან მიაღწია რაზმის ტეხნიკურ გაუმჯობესობას.

პირველი მისი გამარჯვება ეს იყო რაზმში რვა საათის სამუშაოს დამყარება. აღნიშნულ რაზმში თანამშრომლები მსახურობდენ დღე და ღამე ოცდა ოთხი საათი.

აქვე მომყავს ცხრილი თუ რა მდგომარეობაში იყო ხანძართ-მქრობელი რაზმი 1921 წლამდე და რა მდგომარეობაში იყო ეს უკანასკნელი 1923 წლის 1 იანვრისთვის.

იყო 1921 წ. თებერვალს 25 არის 1923 წ. 1 იანვრისთვის.

| | | |
|---|---|---|
| ხანძართ-მქრობელი ნაწილები | 1 | 3 |
| რაზმის თანამშრომელნი | 63 | 150 |
| სახელდობრ. | | |
| რაზმების უფროსი (ბრანდ-მაიორი) | — | 1 |
| ინსტრუქტორი | — | 1 |
| ნაწილის უფროსები | 1 | 2 |
| სამნეო ნაწილის გამგე | — | 1 |
| მემანქანე | 1 | 2 |
| საექიმო პერსონალი | — | 4 |
| სამწერლოს თანამშრომლები | 1 | 2 |
| მეელსმენები | 1 | 6 |
| შოფერი-მექანიკი | — | 1 |
| შოფერები | — | 12 |
| მჭედელი | 2 | 2 |
| დურგალი | — | 1 |
| მასწავლებლები | — | 6 |
| მეხანძრენი | 56 | 116 |
| თვითმავალა | — | 6 |
| ბაქვიანი მანქანა | — | 1 |
| საორთქლე ტუმბო | 1 | 1 |
| ხოლისნი სამუშაო ტუმბო | 5 | 12 |
| მაშველო სახელური | — | 1 |
| „ ქამრები | 3 | 85 |
| კარაბინი (მოკლე იარაღი) | 9 | 31 |
| მისადგომი კიბე | 1 | 3 |
| იერიშიანი კიბე | 2 | 5 |
| მაშველი ბაწარი | 2 | 5 |
| კილები | 5 | 9 |
| ხანძარზე გადიოდა წყალი | 180 კასრა | 680 კასრა |
| სხვა სვლები | 5 | 9 |
| სახელური გამდენი | 600 არშ. | 840 არშ. |
| „ შემწოვი | 5 | 14 |
| ესნები | 30 | 11 |
| სახელურის საჭიმი | — | 19 |
| საგანგიში ზარები | 1 | 8 |
| ტეხი | 8 | 27 |
| ნაჯახი დიდი | 2 | 32 |
| ნაჯახი პატარა (გერმანული) | — | 42 |
| რკინის ნიჩბები | 6 | 111 |
| წერაქვი | — | 30 |
| ხოჭი რკინის | — | 12 |
| ჩირაღდანი | 4 | 14 |
| ხერხები | — | 6 |
| მუზარადი | 63 | 93 |
| ქლენტილოს ტანსაცმელი | 60 | 165 |
| ცხენის მოსართი | 58 | 50 |

როგორც ზემოთ ნაჩვენებ ცხრილიდან სჩანს ტფილისის ხანძართმქრობელი რაზმი გაუმჯობესებულა ტეხნიკურად; რაზმის გაძლიერება ეტყობა აგრეთვე მის პიროვნულ შემადგენლობას, რომელიც გამოიხატება თანამშრომლების რიცხვის გადიდებით და აგრეთვე ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის თანამდებობის შექმნაში.

მან აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქცია ქალაქის განაპირა ადგილების დაცვის საქმეს, სადაც უმთავრესად სცხოვრობს ქალაქის პროლეტარიატი და მუშა-მოსამსახურეები. ესეც პირველ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს: ძველი რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ადგილებს.

დაარსებულ იქმნა ისანძი (ავლაბარში) ხანძრას სადარაჯო ერთი თვითმავლით და აგრეთვე ამ მოკლე ხანში გადაკეთებულ იქმნება ერთი თვითმავალა, რომელიც უნდა გაგზავნოს ქალაქის ნაწილის მუშათა ერთ-ერთ ნაწილში.

გარდა ქალაქის რაზმისა მისი ინიციატივით დაარსდა აგრეთვე შემდეგი რაზმები, რომლებიც სათანადოთ არიან მომარაგებული: არსენალის რაზმი—არსენალის და მის რაიონის დასაცავად; რკინის გზის—ტფილისის დეპოს და მის ლიანდაგის დასაცავად; ნავთლუღის—სამხედრო საავადმყოფოს და საქონლის საწყობის დასაცავად.

ხანძრისგან დაცვის საქმეს სათანადო დონეზე დაყენებისთვის კიდევ საჭირო არის რამოდენიმე ტეხნიკური იარაღი, რომელსაც იმედია მალე შეიძენს. ერთი სიტყვით რაც უნდა გაკეთებულიყო 80 წლის განმავლობაში გაკეთდა ორ წელში ამხ. ბერიძის ინიციატივით, რომელსაც მხარში უდგა დამხმარე პირები ხანძართმქრობელ რაზმის სახით. ამიტომ ალმასკომმაც დააფასა მათი გულმოდგინე მუშაობა და ღირსი გახადა გადაეცა მათთვის დროშა.

სრულ 12 საათზე თავისუფლების მოედანზე ალმასკომის შენობის წინ გამოდის ხანძართმქრობელ რაზმის საბარგულით ექვსი თვითმავლით, ერთი საორთქლე ტუმბო, ერთი ხელით სამუშაო ტუმბით სვლი, ერთი არსენალის თვითმავალი. თვითეულ თვითმავალის წინ ალლუმის დაწყებამდე ელაგა სხვა და სხვა სანტვრევი და ტეხნიკური იარაღები.

მესანგრენი იყვნენ ორ მწკრივად ჩამწკრივებული, რომლებსაც ეცვათ ახალი ქლენტილოს სპეც ტანსაცმელი და მათი სუფთად განწმენდილი მუზარადები მზის სხივზე ლამაზად პრიალებდენ. სანამ ალლუმი დაიწყობოდა ამხ. ბერიძემ კომისიას ამხ. ფიალკოვსკის მონაწილეობით დაათვალიერებინა სუყველა სვლები და აუხსნა მათი მნიშვნელობა. ამის შემდეგ იწყება ალლუმი. მიდიოდა ხანძრთმქრობელი რაზმის საკუთარ მუსიკის თანხლებით.

გაიცა განკარგულება „აალაგეთ იარაღები" რომლის ასასრულებლად სწრაფად მოედვნენ მესანგრენი და განკარგულება სისრულეში იქმნა მოყვანილი. შემდეგ გაიცა განკარგულება „აამუშავეთ ტუმბო" და სწრაფად რვა მილი დაემიზნა მზეს, რომლიდან გამოსულს ნაკადს ჰსურდა მასთან ასვლა.

ამის შემდეგ გაიმართა სანიმუშო მაცადინეობა სახურავზე და მეორე სართულზე ასვლა და აქიდან მაშველ იარაღების ხმარება. ხმარებულ იქმნა: მაშველი სახელური, რომლის საშუალებით მეხანძრენი სწრაფად ეშვებოდნენ ძირს; ამერიკული მაშველი ბაწარი, ჩვეულებრივი ბაწარი კარაბინის (მაშველი იარაღი) დახმარებით ჩამოსვლა მათი მუშაობა ძლიერ ლამაზი იყო და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, როგორც ალმასკომის წარმომადგენელ ისე დამსწრე საზოგადოების შორის. დაბოლოს ნაჩვენები იქმნა მუნჯური განკარგულება, რომელიც საჭირო არის საავადმყოფოებში და სასწავლებელში ხანძრის დროს, ამ უკანასკნელის საშუალებით შეიძლება ყოველივე აურზაურის და ყვირილის აცილება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამის შემდეგ ალმასკომის წევრს, გამოაქვს წითელი დროშა სათანადო წარწერით. ამხ. ფიალკოვსკიმ მიჰმართა მეხანძრეებს და აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ როგორც წითელი არმია იცავს მცხოვრებლებს შინაურ და გარეშე მტრებისგან, ისე მეხანძრენი იცავენ მათვე განადგურებიდან და ყოველივე სტიქიურ უბედურებისაგან. ამიტომ ისინი ღირსნი არიან ამ დროშის ტარებისა, შემდეგ დაიწყო მისალმება. მიესალმა ტფილისის ალმასკომის ადგილკომი, შემდეგ თვით ამხ. ბერიძემ და მოუწოდა რაზმს, რომ ისინი ამიერიდან უფრო მხნედ იდგენ სადარაჯოზე, მის შემდეგ რაზმს ესალმება რკინის გზის რაზმების უფროსი, შემდეგ ქუთაისის პროფესიონალურ და მოხალისეთა მეხანძრეთა წარმომადგენელი, რომელმაც უსურვა მათ მეტი ინტენსიური მუშაობა. ადგილკომიდან ესალმება მათი წარმომადგენელი; დაბოლოს სიტყვას ამბობს უხუცესი ტფილისის რაზმის წევრი, რომელიც აღნიშნულ რაზმში მსახურებს უკვე 30 წელიწადი. მან აღნიშნა, რომ ჩემს დროს ქ. ტფილისში ისე თვითმავლებით კი არ დავდიოდითო, არამედ ბევრჯელ ფეხითაც გვიხდებოდა ხანძრის ადგილას მისვლაო.

სუყველაფერი კარგი სანახავი იყო და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა, მხოლოდ თვალში გეცემოდა, რომ საქართველოს დედა ქალაქის რაზმის, რომელიც სანიმუშო რაზმი არის მთელ საქართველოსათვის, ყოველივე განკარგულება იყო ასრულებული რუსულად, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამას როგორც ამხ. ბერიძე, ისე ადგილობრივი რაზმის ადგილკომიც სათანადო ყურადღებას მიაქცევს.

ერთი შეხედვით თითქმის ქ. ტფილისის ხანძრის დაცვის საქმე სათანადო დონეზე სდგას, მაგრამ არის აგრეთვე პროფესიონალური რაზმების გარდა დაარსებული იქმნეს მოხალისეთა რაზმი, როგორც ტფილისში ისე მთელ საქართველოში. ამის შესახებ უკვე სათანადო ზომები აქვს მიღებული ამხ. ბერიძეს. ჩვენი საქმეა მას დავეხმაროთ და ხელი შეუწყოთ ამ ფრიად სასარგებლო საქმის, მოხალისეთა ხანძართმქრობელ რაზმის გაფართოება და არსებას.

**გ. ასლანიშვილი.**

## მუშათა და გლეხთა მილიციის ცხოვრებიდგან.

ადვილი შესაძლოა ზოგმა მოქალაქემ არ იცოდეს რა არის მილიცია და თვითეული მილიციელი რას წარმოადგენს მისთვის და აგრეთვე შესაძლოა ისიც დაუშვათ თვითონ, ზოგიერთმა მილიციელმაც არ იცოდეს თავის ვალდებულება თუ რა დიდი პასუხის მგებელია, როგორც კანონის წინ, აგრეთვე სინდისის ქვეშ თავის პირდაპირ მოვალეობის ასრულების დროს.

ასრულებს თავის მოვალეობას პირნათლათ თუ არა?

მილიციის ვალდებულებას შეადგენს თავდაპირველათ დაცვა ყოველივე საშუალებით წესრიგისა.

აგრეთვე ის ვალდებულია დაიცვას მცხოვრებნი გაცარცვისაგან, ბოროტ-მოქმედებიდგან, უკანონო თავდასხმისაგან და სხვა.

აი მთავართ დედა აზრი მილიციის ვალდებულებისა და ყოველივე მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ნათელი და ჭეშმარიტი წარმოდგენა, რომ თვითეული მილიციელი დღეს არის მისი დამცველი.

ზოგიერთი მოქალაქე დღესაც ცუდ წარმოდგენისაა მილიციაზედ, რადგანაც ახსოვთ საშინელი ბნელი წარსული, მენშევიკების ბატონობის დროს, როდესაც მილიცია ქეიფს, სიგარყვნილეს და ქრთამის აღების მეტს არაფერს არ აკეთებდა და მთავრობაც ამ საშინელ და საზიზღარ საქმეში თითქმის უწყობდა ხელს, რადგანაც ჯამაგირებს აძლევდა ისეთ ცოტას, რის მიცემა არ მიცემას უდრიდა.

საქართველოს გასაბჭოების დღიდგან ყველა ამას ბოლო მოეღო.

ქ. ტფილისის მილიციას შეეტყო გაჯანსაღება მას შემდეგ, რაც მილიციის უფროსათ დაინიშნა ამხ. ხმალაძე, რომელმაც დიდი ნიჭი და ენერგია გამოიჩინა.

მილიციის თანამშრომლებს დაურიგდა მშვენიერი შალის ტანისამოსი, ფეხსაცმელები და სხვა.

წარსულ თვეს უნცროსმა მილიციელმა მიიღო თვიური ხელფასი 11 საქონლის მანეთი, ამ თვეში მიიღებს 15 საქონლის მან. რაც შეადგენს არა ნაკლებ სამოცდაათ მილიონ მანეთს და ყოველ დღე იღებს ორ გირვანქა ნახევარ გამომცხვარ პურს.

მილიციელ თანამშრომელთა შორის დიდი ლაპარაკია პროფესიონალურ კავშირის შექმნაზედ. მაგრამ ამაზედ შემდეგში.

**ვლ. მაჭარაშვილი.**

## პროვინციაში

**დ. ჩოხატაური.** პარასკევს, 10 აგვისტოს ადგილობრივი პარტკომის თაოსნობით დ. ჩოხატაურში გამართული იქმნა საჰაერო ფლოტის დღე. სპეციალურად დანიშნული კომისია დილიდანვე ყულაბებით აგროვებდენ შემოწირულებას. ამავე მიზნით საღამოს ადგილობრივ სახალხო სახლში გამართულ იქმნა წარმოდგენა. წარმოდგენის წინ საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შალვა კალანდაძემ. საღამო გვარიანათ ჩატარდა.

— ჩოხატაურის რაიონის ყველა დარგის თანამშრომელებს უკვე არჩეული ყავთ თავ-თავიანთი სარაიონო ადგილკომები, სადაც უკვე განახლებულია მუშაობა. ადგილკომების პასუხისმგებელ მდივნებათ ითვლებიან: მედიკო სანტრუდის ილია ძნელაძე, საბჭოთა მუშაკების—სეფე ცინცაძე და კულტურულ დარგში მომუშავეთა—ლ. ლამბაშიძე.

— ჩოხატაურის რაიონის სამედიცინო პერსონალი მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. უკვე მესამე თვეა მათ ჯამაგირი არ მიუღიათ. ამის შესახებ მათ უკვე შეიტანეს ადგილკომში სათანადო განცხადება. საჭიროა დაუყონებლივ მიექცეს ამის ყურადღება ვისგანაც ჯერს არს.

— ჩოხატაურის საავადმყოფოს შენობაზე მუშაობა უკვე განახლებულია, რომელიც მეტად გაცხოველებულათ სწარმოებს. უკვე აშენებულია შენობა სიმაღლით ორ არშინამდე. საალმშენებლო კომიტეტი ყოველივე ზომებს ღებულობს, რომ მუშაობა უფულობით არ შეფერხდეს.

— ეს ერთი ხანია მეტათ ცუდი ამინდები დაიჭირა; თითქმის ყოველ დღე სწვიმს. ამის და მიუხედავათ წელს აღმოსავლეთ გურიაში მოსავალი საშუალოზე მეტი იქნება. ხოლო ადგილობრივი ჯიშის ყურძენს (იზაბელა) კი კარგი პირი უჩანს მისი მოსავალი დიდი უნდა იქნეს.

— აღმოსავლეთ გურიის მთებზე საძოვრათ გარეკილ საქონელში გაჩენილია საქონლის ჭირი და თურქულა.

— ამ დღეებში ადგილობრივ სახალხო სახლში გამართული იქმნება დ. ჭონქაძის „სურამის ციხის" გმირის ვარდუას გასამართლება.

**ამხაითელი.**

## საუბარი გლეხთან

### არ გადაყაროთ ნ ცარი

ნაცარი, მიიღება ყოველგვარი მცენარეების დაწვით. წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან სასუქს.

ნაცარში არის, უმთავრესად, ორი ნივთიერება ურომლისოდ მცენარეს არ შეუძლია ზრდა-განვითარება.

ეს არის ფოსფორის სიმჟავე და კალი.

ფოსფორის სიმჟავით უმთავრესად მარცვალი სარგებლობს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ის ნივთიერება, რომელიც ესაჭიროება მცენარეს ზრდისათვის მიიღება ან ჰაერიდან ან ნიადაგიდან.

ნაცარში შემავალი ნივთიერება: კალი და ფოსფორის სიმჟავე, იღება ნიადაგიდან.

თუ ვაგროვეთ ნაცარი წლიდან წლამდე ერთ ადგილას და არ დაუბრუნეთ ის მას, დადგება დრო, როცა ეს ნივთიერება მთლად გამოელევა ნიადაგს და მოსავალს ნაკლებს მოგცემს.

ფოსფორის სიმჟავის ნაკლებობა ნიადაგში კარგა ხანია შეამჩნიეს და შესავსებად დაიწყეს ხელოვნური სასუქის შეტანა ნიადაგში: ტომას შლაკი, სუპერფოსფატი, ძვლის მარილი, რომლებშიდაც იმყოფება ფოსფორის სიმჟავე და ნოყიერება ასწია.

სწორედ ასეთი სასუქს წარმოადგენს ნაცარი.

როგორ უნდა მოვიხმაროთ ნაცარი? საყანე ადგილას ნაცარი უნდა დავაყაროთ მოხვნის და დაფარცხვის შემდეგ, რომ თანაბრად იქნეს განაწილებული და შემდეგ ისევ ფარცხი გავატაროთ.

დესეტინას უნდა 60—100 ფუთამდე.

ასე გასუქებული ნიადაგი მოსავალს იმ წელსვე მოგვიმატებს და ხუთი-ექვსი წლამდი არ დაკარგავს ძალას.

საბოსტნე ნიადაგს ამავე წესით დაეყრება ნაცარი, რომელზედაც უკეთესად ხარობს: ხახვი, ლოკი, ცერცვი, სოია, მუხუდო, ლობიო, კომბოსტო, კარტოფილი.

საერთოდ ნაცარი დათესვამდის უნდა იქნეს შეტანილი; ვინაიდგან, თუ გვალვა დადგა, თესლთან ერთად შეტანილი არ გაიხსნება და მცენარეც ვერ ისარგებლებს იმ წელიწადს.

მეტის მეტად ესაჭიროება ნაცარი თამბაქოს, სელს, კანაფს, სამყურა ბალახს.

ნაცარი უნდა იქნეს შენახული მშრალ ადგილას, რომ დასველების გამო ნიადაგში შეტანამდი არ გაიხსნას. საერთოდ ყოველ მცენარისაგან მიღებული ნაცარი ერთნაირად გამოსადეგარია.

(მიწის მუშა).

### წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მოგვეცით გაზეთ „ტრიბუნის" საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქალაქ ონის ალმასკომს და პროფ. კავშირს იმ ძმური დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს ჩოხატაურის საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტს, რომელიც გამოიხატება თვითეულისაგან 500 მილიონი მან. გამოგზავნაში (სულ ერთი მილიარდი მანეთი).

აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნით ამხ. ბესარიონ გოგიას, ილარიონ უჩანეიშვილს და არ. მეგრელიშვილს იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს ჩვენს დელეგატ ას. ცინცაძეს აღნიშნულ თანხის მოგროვებაში.

ჩოხატაურის საავადმყოფოს საალმშენებლო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **თ. ჩიჩუა.**

მდივანი **ლ. ლამბაშიძე.**

დ. ჩოხატაური, 11 აგვ. 1923 წ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.